

შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი

ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორი დასკვნა მოსაზრება.....	3
შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის.....	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის.....	8
სრული შემოსავლის ანგარიშგება (მოგება-ზარალი)	8
შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის.....	9
კაპიტალის ცვლილების ანგარიში	9
შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის.....	10
ფულადი ნაკადების ანგარიში.....	10
შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის.....	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	11
1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძვლები.....	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
5. ფასს-ებზე გადასვლის განმარტება	14
7. ფული და ფულის ექვივალენტები	17
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	17
9. მარაგები.....	18
10. წინასწარ გადახდილი ხარჯები.....	19
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	19
12. გადასახდელი გადასახადები.....	19
13. შემოსავალი.....	20
14. პირდაპირი ხარჯები	20
15. არასაოპერაციო შემოსავალი	22
16. არასაოპერაციო ხარჯები.....	22
17. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა	22
18. სამართლებრივი მოთხოვნები.....	26
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	26
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26
21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	26

დამოუკიდებელი აუდიტორი დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება. თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

- ✓ აუდიტის პროცესში ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, ვინაიდან 2019 წლის 23 იანვარს კომპანიაში განხორციელდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩხრეკა და ამოღებული იქნა მენიუ-განაწილებები და სხვა დოკუმენტები, რომელთა ასლებიც ვერ იქნა მოძიებული და წარმოდგენილი აუდიტის პროცესში.
- ✓ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაცია ფინანსური სამსახურის მიერ შესამოწმებელ პერიოდში არ არის სრულად ასახული პროგრამა საბუღალტრო კომპიუტერულ პროგრამა ინფო-ბუღალტერიაში. აღნიშნული უზუსტობებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ✓ ვერ იქნა წარმოდგენილი შპს „აღ. ქაჯაიას სახელობის სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს“ (სნ 243858544) ფინანსური ანგარიშგება,

პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაცია და შერწყმის შედეგად გაერთიანებული ბალანსი, რომელიც 2017 წლის 29 ივნისის შერწყა შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე ფინანსური ანგარიშგების შემოწმებაში. ეს საკითხები განვიხილეთ ფინანსური ანგარიშგების როგორც ერთი მთელის აუდიტისა და მასზე ჩვენი მოსაზრების ფორმირების კონტექსტში და ამ საკითხებზე ჩვენ დამოუკიდებელ მოსაზრებას არ წარმოგიდგენთ. ქვემოთ მოცემული თითოეულ საკითხთან მიმართებით, ჩვენი აღწერა იმისა, თუ როგორ მიუდგა ჩვენი აუდიტი კონკრეტულ საკითხს, სწორედ ამ კონტექსტშია მოწოდებული.

ჩვენ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობები, მათ შორის აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც აღწერილია ჩვენი დასკვნის თავში „აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისთვის“. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა იმ პროცედურების შესრულებას, რომლებიც შემუშავებულია ფინანსურ ანგარიშგებაში მნიშვნელოვანი უზუსტობის ჩვენს მიერ შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის. იმ პროცედურების შედეგები, რომლებიც შევასრულეთ მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად, იძლევა თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი

აუდიტორული დასკვნის საფუძველს.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინასურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს

თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინასურ ანგარიშგებას.

კონსტანტინე კიკნაძე

ქ. თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

17 მაისი 2019 წ.



შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი (ათასი ლარი)

	შენიშვნა	31-12-16	31-12-17	31-12-18
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	7	21,821	48,007	31,785
სავაჭრო მოთხოვნები	8	66,854	145,033	161,800
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	48,524	47,087	51,524
წინასწარ გადახდილი ხარჯები	10	400	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები			23,133	13,653
ჯამურად მიმდინარე აქტივები		137,599	263,260	258,762
ფიქსირებული აქტივები	6	412,949	598,641	690,239
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		412,949	598,641	690,239
სულ აქტივები		550,548	861,901	949,001
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	11	11,168	15,835	220,009
გადასახდელი გადასახადები	12	-	11,877	-
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		11,168	27,712	220,009
გადავადებული გადასახადი		43,739	41,574	41,574
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		27,817	27,817	27,817
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		71,556	69,391	69,391
სულ ვალდებულებები		82,724	97,103	289,400
კაპიტალი				
კაპიტალი		411,665	615,191	615,191
სარეზერვო კაპიტალი		50,555	82,302	82,302
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		5,605	67,305	37,892
სულ კაპიტალი		467,825	764,798	659,601
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		550,548	861,901	949,001

დირექტორი :

ავთანდილ ვანაძე



10 მაისი 2019

თბილისი, საქართველო

შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის


ცენტრის სრული შემოსავლის ანგარიშგება (მოგება-ზარალი)
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი (ათასი ლარი)

		2016	2017	2018
სულ შემოსავალი		785,771.18	1,339,393.88	1,924,282.27
სულ ღირებულებები		790,732.68	1,234,175.53	2,029,478.46
სულ საოპერაციო შემოსავალი		13 777,171.56	1,330,793.86	1,919,953.27
სულ რსო		470,933.01	823,297.19	1,204,742.19
შემოსავალი 1 (რედაქტირებადი ველი)		777,171.56	1,330,793.86	1,789,439.00
1	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	470,933.01	823,297.19	1,134,036.17
ფასსწამატი, %		65.03%	61.64%	57.79%
შემოსავალი 2 (რედაქტირებადი ველი)				130,204.27
2	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება			70,458.02
ფასსწამატი, %				84.80%
შემოსავალი 3 (რედაქტირებადი ველი)				310.00
3	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება			248.00
ფასსწამატი, %				25.00%
საერთო მოგება		306,238.55	507,496.67	715,211.08
5	კომერციული, საერთო და ადმინ-ლი ხარჯები	14 319,299.67	407,135.29	822,661.27
6	შრომის ანაზღაურება (ბრუტო)	167,757.26	296,007.82	516,030.27
7	დაზღვევა და სხვა ხარჯები		1,064.04	
8	საიჯარო გადასახადი			1,643.52
9	კომუნალური ხარჯები	50,154.62	765.06	9,202.00
10	რეკლამა, მარკეტინგი		490.00	1,020.00
11	ტრანსპორტის ხარჯები	20,626.83	27,061.72	29,340.28
12	მიმდინარე რემონტი	6,796.36	3,410.30	98,634.19
13	მივლინების ხარჯები			135.00
14	საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები		1,600.00	
15	ცვეთა/ამორტიზაცია	32,532.65	42,753.55	51,200.00
16	ინტერნეტი	7,208.25	1,496.85	2,453.75
17	კაპშირგაბმულობის ხარჯი	814.08		2,172.00
18	ბანკის მომსახურება	19,912.88	18,607.33	21,387.63
19	სხვა ხარჯები	5,875.00	5,000.00	1,958.33
20		7,621.74	8,878.62	87,484.30
საოპერაციო მოგება		(13,061.12)	100,361.38	(107,450.19)
21	არასაოპერაციო შემოსავალი	15 8,599.62	8,600.02	4,329.00
22	საპროცენტო და საინვესტ. შემოსავალი	279.76	612.02	729.00
23	საინვ. საქმიანობიდან მიღებული მოგება	5,019.86	-	
24	კერსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	3,300.00	7,988.00	
25	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი			3,600.00
26	არასაოპერაციო ხარჯები	16 500.00	3,743.05	2,075.00
27	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	500.00	3,743.05	2,075.00
მოგება დაბეგვრამდე		(4,961.50)	105,218.35	(105,196.19)
28	მოგების გადასახადი		11,877.30	
წმინდა მოგება მუდმივი საქმიანობიდან		(4,961.50)	93,341.05	(105,196.19)
წმინდა მოგება		(4,961.50)	93,341.05	(105,196.19)

დირექტორი :

ავთანდილ ვანაძე



10 მაისი 2019

თბილისი, საქართველო

შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის

კაპიტალის ცვლილების ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი (ათასი ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	ჯამურად
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	411,665	50,555	5,605	467,825
კაპიტალის ზრდა/შემცირება პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	203,526	31,747	61,700	296,973
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	615,191	82,302	67,304	764,797
კაპიტალის ზრდა/შემცირება პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)			- 105,196	
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	615,191	82,302	- 37,892	659,601

დირექტორი :

ავთანდილ ვანაძე



10 მაისი 2019

საქართველო, თბილისი

შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის


ფულადი ნაკადების ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი (ათასი ლარი)

	2016	2017	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	17,149.98	84,176.22	100,537.30
სულ ფულადი ნაკადების შემოდინება	784,978.12	1,322,620.59	1,924,282.56
შემოსავალი 1	781,348.36	1,295,501.44	1,789,439.00
შემოსავალი 2	3,300.00	21,464.15	130,204.27
შემოსავალი 3	50.00	-	310.00
შემოსავალი 4	279.76	3,600.00	3,600.00
შემოსავალი 5		2,055.00	729.29
საოპერაციო ფულადი სახსრების გადინება	767,828.14	1,238,444.37	1,823,745.26
- სასაქონლო მარაგების/ნედლეულის შეძენა	311,893.28	499,637.43	517,570.07
- შრომის ანაზღაურება	369,642.91	650,273.02	1,008,643.18
- საიჯარო გადასახადი			1,643.52
- კომუნალური ხარჯები	48,450.51	49,558.28	78,629.72
- ტრანსპორტის ხარჯი	18,774.03	35,111.19	29,340.28
- მიმდინარე რემონტი	4,999.96	3,019.45	98,634.19
- გადასახადები	3,208.62	550.00	1,800.00
- სხვა ხარჯები	10,858.83	295.00	87,484.30
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(13,332.00)	(38,006.60)	(116,759.00)
- ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების შეძენა	13,332.00		5,309.00
- კაპიტალური ხარჯები		38,006.60	111,450.00
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	(19,984.00)	-
- დივიდენდი		19,984.00	
წმინდა ფულადი სახსრები	3,817.98	26,185.62	(16,221.70)
ფულადი სახსრ. პერიოდის დასაწყისში	18,002.71	21,820.69	48,006.31
ფულადი სახსრ. პერიოდის ბოლოს	21,820.69	48,006.31	31,784.61

დირექტორი :

ავთანდილ ვანაძე



10 მაისი 2019

თბილისი, საქართველო

შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 2007 წლის 30 აგვისტოს. საიდენტიფიკაციო კოდი: **243123455**. იურიდიული მისამართი მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის ქ., N148.

კომპანიის დამფუძნებელია სახელმწიფო - 100%.

2017 წლის 29 ივნისს განხორციელდა შპს „აღ. ქაჯაიას სახელობის სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო“ (სნ 243858544) შერწყმა შპს „ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფოსთან“ (სნ 243123455) და ეწოდა შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ცენტრი“ (სნ 243123455).

შესამოწმებელ პერიოდში ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირებია:

- გენერალური დირექტორი - ავთანდილ ვანაძე, პ.ნ. 52001014032;
- დირექტორი - სპარტაკ ბუკია, პ.ნ. 01003001743.

გენერალური დირექტორის 2017 წლის 29 ივნისის #01 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მიხედვით, ბედიანის ფსიქიატრიულ კლინიკას უშუალოდ ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, ხოლო სურამის ფსიქიატრიულ კლინიკას უშუალოდ ხელმძღვანელობს დირექტორი.

შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, რომლის საქმიანობის ძირითადი საგანია:

- მოსახლეობის სტაციონალური, ამბოლატორიული- პოლიკლინიკური და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება;
- პროფილაქტიკა და რეაბილიტაცია;
- სადიაგნოსტიკო საქმიანობა;
- ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელება, როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში, რომელიც საჭირო ან აუცილებელია საზოგადოების მიზნების მისაღწევად და არ იკრძალება ამ მოქმედი კანონმდებლობით.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშების შესაბამისობა

ფინანსური სამსახურის ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას უნდა აწარმოებდეს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. როგორც მე-11 (სავაჭრო და სხვა ვალდებულებები) შენიშვნაშია მოცემული, მნიშვნელოვან მომხმარებლებთან კონტრაქტები არის მოკლევადიანი და განახლებადი თვითურად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საზოგადოება არ იყენებს და არ გააჩნია გაწერილი და დამტკიცებული ფინანსური სააღრიცხვო პოლიტიკა. რომლის გამოყენება უნდა განხორციელდეს უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილი უნდა იყოს

ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია არ ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი ე. წ. ესტონური მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია :

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან

- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

5. ფასს-ებზე გადასვლის განმარტება

კომპანიისთვის არის პირველი წელი, როცა უნდა მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების მოთხოვნების შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკები გამოყენებულ იქნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად, ასევე, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესადარისი ფინანსური ინფორმაციისთვის და 2016 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით არსებული საწყისი ნაშთებისთვის.

კომპანიამ პირველად მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, ამიტომ, ფასს-ების მიხედვით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას არ დაუკორექტირებია არაფერი. იქიდან გამომდინარე, რომ ფასს-ებზე გადასვლა არ ახდენს გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ გაკეთებულა რეკონსილაცია.

შენიშვნა 6 - ფიქსირებული
აქტივები

მიწა	შენიშვნა ნგებობა	მანქანა დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა	არამატერიალური აქტივები	სხვა აქტივები	სულ
93,065	409,384	17,757	4,957	885	69,884	595,933
			4,414		30,894	35,308
					-	-
93,065	409,384	17756.98	9,371	885	100778.27	631,241
	115,213	7,859	3,653	885	55,401	183,011
				-		-
-	115,213	7,859	3,653	885	55,401	183,011
93,065	294,172	9,898	1,305	-	14,483	412,922
93,065	294,172	9,898	5,718	-	45,377	448,230

საწყისი ღირებულება

ბალანსი 31/12/2016

დანამატები

აქტივების ჩამოწერა

ბალანსი 31/12/2017

აკუმულირებული ცვეთა

ბალანსი 31/12/2016

ცვეთა პერიოდისათვის

ჩამოწერილი აქტივების ცვეთა

ბალანსი 31/12/2017

წმინდა ღირებულება

ბალანსი 31/12/2016

ბალანსი 31/12/2017

საწყისი ღირებულება	მიწა	შენიშვნა	მანქანა	კომპიუტერული	არამატერიალური	სხვა	სულ
ბალანსი 31/12/2017	93,065	409,384	17,757	9,371	885	100,773	631,235
დანამატები		122,009		4,634		26,096	152,739
აქტივების ჩამოწერა							
ბალანსი 31/12/2018	93,065	531,394	17,757	14,005	885	126,869	783,975
აკუმულირებული ცვეთა							
ბალანსი 31/12/2017	-	115,213	7,859	3,653	885	55,401	183,011
ცვეთა პერიოდისთვის							
ჩამოწერილი აქტივების							
ცვეთა							
ბალანსი 31/12/2018	-	115,213	7,859	3,653	885	55,401	183,011
წმინდა ღირებულება							
ბალანსი 31/12/2017	93,065	294,172	9,898	5,718	-	45,372	448,225
ბალანსი 31/12/2018	93,065	416,181	9,898	10,352	-	71,468	600,964

შენიშვნა: ცხრილში მოცემულია ინფორმაცია წარმოდგენილია საბუღალტრო პროგრამის მონაცემებით, რომლის მიხედვით 2017-2018 წლებში ცვეთა დარიცხულია არა. მაშინ, როცა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამისად ცვეთა ასახულია 42 754 ლარი და 51 200 ლარი. ამავე დროს პროგრამის ნაშთები არ ემთხვევა ფინანსური მგდომარეობის ანგარიშგების ნაშთებს. შესაძლებელია პერიოდში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, თუმცა შემოწმების პროცესში მიმდინარეობდა, რომელიც დასკვნის შედგენის თარიღისთვის დამთავრებული არ იყო.

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2016-2017-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია საბუღალტრო პროგრამის მიხედვით:

	31.12.2016	31.12.2017	31.12.2018
ლარები საბანკო ანგარიშებზე	21,820	27,114	10,339
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	21,820	27,114	10,339
ნაღდი ფული საღაროში ლარებში	1	1	96
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	21,821	27,114	10,435

შენიშვნა: პროგრამულად წარმოდგენილი ფულადი ექვივალენტები ნაშთები, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ნაშთები და საბანკო ამონაწერებზე რიცხული ნაშთები არ ედრება ერთმანეთს.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საბუღალტრო პროგრამის მიხედვით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2016-2017-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია:

	31.12.2016	31.12.2017	31.12.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	66854.11	146192.37	-1773585.90
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	-	-122.50	177.50
კაპიტალის შევს. პარტნ. გრძელვ. მოთხ. მიმდ. ნაწილი	-	203526.00	203526.00
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	270.00	270.00	270.00
მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები	67,124	349,866	(1,569,612)

შენიშვნა: პროგრამაში სრულად არ არის ასახული და ასევე ვერ მოვიპოვეთ სრულად შესრულებული მომსახურების ღირებულება, რის საფუძველზეც წარმოიშვა სავაჭრო მოთხოვნები.

9. მარაგები

საბუღალტრო პროგრამის მიხედვით მარაგები 2016-2017-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2016	31.12.2017	31.12.2018
საქონელი სურამში	-	213.60	3592.63
საყოფაცხოვრებო სარეცხ-სახეხი საშ.	-	1210.90	1331.42
სურამში			
საქონელი	433.50	2741.60	5146.22
საყოფაცხოვრებო (ქიმიური) საქონელი	946.17	1061.30	3415.34
საყოფაცხოვრებო მცირეფასიანი საგნები	450.63	364.54	1326.04
ა.ვ.პ.-ზე საყოფაცხ. მცირეფას. საგნები	12207.26	15997.32	18979.52
ნედლეული და მასალები	345.29	489.47	741.77
დაუმთავრებელი წარმოება	-	17032.48	17032.48
მედიკამენტები	6599.65	11043.61	25631.33
სამედიცინო საგნები	98.13	367.48	5055.36
სამედიცინო საგნები სურამში	-	-78.23	2346.73
სურსათი სურამის	-	11263.99	5221.03
პური სურამის	-	975.35	18.95
საწვავი სურამის	-	808.61	4619.97
საწვავი	8264.69	3664.20	3149.75
სურსათი	7630.69	10234.15	-761.45
პური	374.67	263.72	303.72
პასკა	-	-	300.00
ფუნთუშა	-	90.00	90.00
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები (ინვენტარი)	11518.85	28551.49	28629.49
სასაქონლო-მატერ. მარაგები, ინვენტარი /სურამი	-	10004.85	15949.39
მონო-ბარათები	-	30.00	30.00
ჯამურად სასაქონლო-მატერიალური მარაგები	48,870	116,330	142,150

შენიშვნა: სასაქონლო მატერიალური მარაგის პროგრამული ნაშთი არ ედრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ მარაგის ნაშთს. მარაგები არ არის ანგარიშებზე რაოდენობრივად ასახული, იგი ასახულია მხოლოდ თანხობრივად. ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი სრულად მენიუ (კალკულაცია), რის საფუძველზეც ხდება პროდუქტების ჩამოწერა.

10. წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი გადასახადები წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში არ ფიქსირდება, ხოლო პროგრამულად 2016-2017-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2016	31.12.2017	31.12.2018
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	199	199	199
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები	83 -	83 -	83
ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე	253 -	28	411
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	421	579 -	432
მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები	283	666	95

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2016-2017-2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პროგრამულად შემდეგნაირია:

	31.12.2016	31.12.2017	31.12.2018
მოწოდებიდან და მომსახურებ.	7,525 -	6,571	169,900
წარმოქმნ. ვალდებულებები			
გადასახდელი ხელფასები	830	899 -	125
ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების წინაშე	30	- -	45
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები			250
სულ კრედიტორული დავალიანება	8,385 -	5,673	169,980

შენიშვნა: ვალდებულებების საბუღალტრო პროგრამის ნაშთი არ ედრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ნაშთს.

12. გადასახდელი გადასახადები

გადასახდელი გადასახადები 2016-2017-2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პროგრამულად შემდეგნაირია:

	31.12.2016	31.12.2017	31.12.2018
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	1226.23	-561.48	461.62
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	-175.00	-1750.00
სამედიცინო დაზღვევის სავალდებულო შენატანი	3349.00	3349.00	3349.00
სულ გადასახდელი გადასახადები	4,575	2,613	2,061

შენიშვნა: საგადასახადო ვალდებულებების პროგრამული ნაშთი არ ედრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ნაშთს.

13. შემოსავალი

შემოსავალი 2017-2018 წლებისთვის პროგრამულად წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,382,010	265
სულ შემოსავალი	1,382,010	265

წარმოდგენილი წლიურ მოგება-ზარალის ანგარიშგების შესაბამისად 2017 წელს ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 1 339 394 ლარი, ხოლო 2018 წელს 1 924 282 ლარი.

14. პირდაპირი ხარჯები

საბუღალტრო პროგრამის მიხედვით პირდაპირი ხარჯები 2017-2018 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2018
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები		350
მივლინებების ხარჯები (კომერციული)		75
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	632,248	1,006,922
მომსახურეობის ანაზღაურება	455	2,336
მზა კვების ხარჯი სურამი		86,706
სურსათის ხარჯი სურამი	71,593	76,797
პურის ხარჯი სურამი	1,076	-
საიჯარო ქირა		3,216

სურსათის ხარჯი	261,600	350,768
საოფისე ინვენტარის ხარჯები	75	201
საკანცელარიო ხარჯები	1,173	3,577
მედიკამენტების ხარჯი	73,053	138,570
სამეურნეო ხარჯი	17,148	28,014
მიმდინარე რემონტის ხარჯი	4,341	97,091
კომუნიკაციის ხარჯები	4,574	2,326
ელექტრო ენერგიის ხარჯი	52,888	62,306
ხელგარჯილობის მასალების ხარჯი	231	-
წყალმომარაგების ხარჯი სურამი	81	2,244
სატრენინგო მომსახურება	1,600	163
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	1,064	435
საავტომობილო ხარჯი	5,320	12,030
სამეურნეო ინვენტარის ხარჯი		1,707
საოფისე სხვადასხვა ხარჯები/ ბედიანი	1,356	2,179
საოფისე სხვადასხვა ხარჯი/ სურამი	490	1,580
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	36,970	40,262
შემის ხარჯი		10,318
თხევადი აირის ხარჯი		360
დასუფთავება, დეზინფექცია დერატიზ. ხარჯი	607	11,233
კომპიუტერის ხარჯები	30	1,030
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები		2,120
სამედიცინო ნარჩენების განადგურების ხარჯი	1,260	1,646
შესყიდვების მომსახურება	5,000	-
სამედიცინო მომსახურება	225	942
საბანკო ხარჯები	426	561
საბანკო ხარჯები სურამი	151	331
მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)		285
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	144	1,386
სულ პირდაპირი ხარჯები	1,175,179	1,950,068

ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი სრულად. წარმოდგენილ წლიურ მოგება-ზარალის ანგარიშგების შესაბამისად 2017 წელს ხარჯების საერთო ჯამმა ცვეთის გარეშე შეადგინა 364 382 ლარი, ხოლო 2018 წელს 771 461 ლარი.

15. არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავლები:

	2017	2018
საპროცენტო შემოსავლები	602.02	729.29
არასაოპერაციო მოგება მს და არ. აქტ. რეალიზაციიდან	5380.00	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	823.00	968.28
დახმარება	14710.00	11790.20
სულ შემოსავალი	21,515	13,488

წარმოდგენილ წლიურ მოგება-ზარალის ანგარიშების შესაბამისად 2017 წელს არასაოპერაციო შემოსავლმა შეადგინა 8 600 ლარი, ხოლო 2018 წელს 4 329 ლარი. 2017 წელს კურსთაშორის მიღებულმა მოგებამ შეადგინა 7 988 ლარი, როდესაც წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით უცხოურ ვალუტაში ოპერაციები არ მოხდენილა.

16. არასაოპერაციო ხარჯები

პროგრამის მიხედვით სხვა არასაოპერაციო ხარჯში 2017 წელს ასახულია სახელმწიფოზე გაცემული დივიდენდი 14784 ლარის ოდენობით. 2017 წლის სექტემბრში გადარიცხულია 9 344 ლარი, ხოლო აგვისტოს თვეში 5440 ლარი:

	2017	2018
სხვა ფინანსური ხარჯები	16,084	50
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		1,675
სულ არასაოპერაციო ხარჯი	16,084	1,725

წარმოდგენილ წლიურ მოგება-ზარალის ანგარიშების შესაბამისად 2017 წელს არასაოპერაციო ხარჯმა შეადგინა 3 743 ლარი, ხოლო 2018 წელს 2 075 ლარი.

17. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ

რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

ფინანსური აქტივები	12/31/2017	12/31/2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	145,033	161,800
ფული და ფულადი ექვივალენტები	48,007	31,785
სულ ფინანსური აქტივები	193,040	193,585

ფინანსური ვალდებულებები	12/31/2017	12/31/2018
სესხები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27,712	220,009
სულ ფინანსური ვალდებულებები	27,712	220,009

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საკრედიტო რისკი

ფინანსური აქტივები	12/31/2017	12/31/2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	145,033	161,800
ფული და ფულადი ექვივალენტები	48,007	31,785

მაქსიმალური საკრედიტო რისკი	193,040	193,585
------------------------------------	----------------	----------------

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის კომპანიაზე არ მოახდენს გავლენას ვინაიდან არ ხორციელდება სავალუტო ოპერაციები.

18. სამართლებრივი მოთხოვნები

საზოგადოების მიმართ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი ყოფილი ფინანსური სამსახურის უფროსის მიერ. რომელიც გათავისუფლებისათვის ითხოვს კომპენსაციას 37200 ლარს. საზოგადოების იურისტის განმარტებით აღნიშნულ დავის გადწყვეტის შანსი საზოგადოების სასარგებლოდაა 80/20-ზე.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს არ განხორციელებულა ოპერაციები.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 29 იანვარს